საქართველოს საელჩო
ქ. ათენი
EMBASSY OF GEORGIA
ATHENS

48900-52-3-201409301205

№ 48900-52
30/09/2014

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **დავით ჯალაღანიას**

ბატონო დავით,

29 სექტემბერს საბერძნეთის "შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის - BSEC" თავმჯდომარეობის ფარგლებში ქ. ათენში BSEC წევრ-სახელმწიფოთა ჯანდაცვის საკითხებზე პასუხისმგებელ მინისტრთა შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას თავმჯდომარეობდა საბერძნეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბატონი მავრიდის ვორიდისი.

შეხვედრის ფარგლებში მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომლითაც საფუძველი ექმნება "საგანგებო ვითარებებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების ქსელს - NET-EPR შავი ზღვის რეგიონისათვის (თან ერთვის).

დეკლარაციის განხილვის ფარგლებში გაკეთდა დელეგაციის ხელმძღვანელების განცხადებები (საქართველოს დელეგაციის განცხადება თან ერთვის). პოზიციების დაფიქსირებისას სხვადასხვა დელეგაციების ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს, როგორც ინფორმაციათა გაცვლის მნიშვნელობასა და შესაძლო მექანიზმებს, ასევე პრევენციის მიმართულების გაძლიერების აუცილებლობას. აქცენტი გაკეთდა შავი ზღვის სახელმწიფოთა მიერ გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარების მნიშვნელობაზეც.

ღონისძიების ფარგლებში საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა ეროვნული ჯანდაცვის ოპერატიული ცენტრის პრეზენტაცია, რომელიც ახდენს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 300-ზე მეტი სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებიდან შესული ინფორმაციის მონიტორინგს 50 ექიმისა და 20-მდე თანამშრომლის მონაწილეობით ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში. მთლიანობაში ცენტრის მუშაობაში 35 კვალიფიციური ექიმია ჩართული და მომსახურება 16 სხვადასხვა ენაზეა ხელმისაწვდომი. ცენტრი ემსახურება როგორც ინფორმაციის შეგროვებას, ასევე მის ანალიზსა და მომავალი პოლიტიკის დაგეგმვას.

27, Taygetou str. & Marathonodromon, 154 52 Paleo Psychiko, Athens
ტელ./Tel.: +30 (210) 67-42-186, ფაქსი/Fax: +30 (210) 67-16-722, ელ–ფოსტა/E-mail: athens.emb@mfa.gov.ge

შეხვედრის ბოლოს საბერძნეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შედგა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაცია, რომლებიც მოგვიანებით გავრცელდება ორგანიზატორების მიერ.

ასევე, საბერძნეთის ეროვნული ჯანდაცვის ოპერატიული ცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა პანოს ეფსტათიუმ მოახდინა ახალი ვებ-გვერდის პრეზენტაცია, რომელიც BSEC სახელმწიფოთა ჯანდაცვის სტრუქტურათა კომუნიკაციას უნდა მოემსახუროს: net-epr.info.

გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფს აღნიშნული ინფორმაციის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მიწოდება.

დანართი: ორი ფურცელი.

პატივისცემით,
დავით ბაქრაძე

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი